ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №18

(საქონლის შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი 25 იანვარი 2011 წელი

1.1 ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული), თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ივანე საღინაძის სახით - შემდეგში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს „პონტო" მისი დირექტორის ზურაბ ხორავას სახით - შემდეგში „მიმწოდებელი" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:
„შემსყიდველი" – გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ყიდულობს, ხოლო „მიმწოდებელი" ყიდის, 122.00 (ასოცდაორი) **შეკვრა თაბახის ფურცელს ზომით A4**, (შემდგომში „საქონელი").

1.2 საქონლის ღირებულება შეადგენს **1037,00 (ერთი ათას ოცდაჩვიდმეტი)** ლარს, **დღგ 18%-ისა და სხვა ხარჯების ჩათვლით (შემდეგში „ხელშეკრულების ღირებულება").**

1.3 საქონლის შესყიდვა ხორციელდება თვითმმართველი ქალაქ ფოთის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) 2011 წლის ბიუჯეტიდან.

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობას, რაც აქვთ მათ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
   - წინამდებარე ხელშეკრულება;
   - ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკური პირობები;
   - საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი;
3. ზემოთ აღნიშნული საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების პირობების თანახმად.
4. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების საერთო ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე	შპს „პონტო" დირექტორი
ივანე საღინაძე	ზურაბ ხორავა

ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული), თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ივანე საღინაძის სახით - შემდეგში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ, შპს „პონტო" მისი დირექტორის ზურაბ ხორავას სახით - შემდეგში „მიმწოდებელი".

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „შემსყიდველი“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ყიდულობს, ხოლო „მიმწოდებელი“ ყიდის **122.00 (ასოცდაორი) შეკვრა თაბახის ფურცელს ზომით A4,** წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკის (დანართი №1) თანახმად, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

2.2 „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ მიწოდებული საქონლის ღირებულება, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება და საქონლის დასახელება

3.1 საქონელი – **122.00 (ასოცდაორი) შეკვრა თაბახის ფურცელი ზომით A4.** 1 შეკვრა თაბახის ფურცლის ღირებულება შეადგენს **8,50 (რვა და 50 თეთრი) ლარს.**

3.2 საქონლის ღირებულება განისაზღვრება – ლარებში.

3.3 საქონლის ღირებულება შეადგენს **1037,00 (ერთი ათას ოცდაჩვიდმეტი)** ლარს, **დღგ 18%-ისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.**

4. საქონლის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესასყიდი საქონლის ხარისხი უპასუხებს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. საქონლის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2011 წლის 25 იანვრიდან 2011 წლის 4 თებერვლამდე

5.2 საქონლის მიწოდების ადგილია: თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საგადასახო ანგარიშფაქტურის წარდგენა (სასაქონლო ზედნადები და სხვა). საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე შემსყიდველის სახელით ხელს აწერს შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

6. საქონლის მიწოდების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.2 საქონლის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს საქონლის მიღება.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან - 2011 წლის 25 იანვრიდან 2011 წლის 4 თებერვლამდე;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან - 2011 წლის 25 იანვრიდან 2011 წლის 28 თებერვლამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური.

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოში, ერთი – თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში, ერთი – თვითმმართველი ქალაქ ფოთის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურში. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე	შპს „პონტო" დირექტორი
ივანე საღინაძე	ზურაბ ხორავა
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12 სს „ლიბერთი ბანკი" ფოთის ფილიალი	მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №12 სს „ლიბერთი ბანკი" ფოთის ფილიალი
ა/ა GE94LB0120125805505000 ს/კ № 215138143 ბ/კ № LBRGE22	ა/ა GE45LB0113189552504000 ს/კ 215082345 ბ/კ 220101424

დანართი №1

საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარებში	საერთო ღირებულება ლარებში	მიწოდების ადგილი და ვადა
1	თაბახის ფურცელი	122 შეკვრა	8,50	1037,00	თვითმმართველი ქალაქი ფოთი 2011 წლის 25 იანვრიდან 4 თებერვლამდე
	სულ			1037,00 ლარი	

„შემსყიდველი“

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე საღინაძე

„მიმწოდებელი”

შპს „პონტო”
დირექტორი

ზურაბ ხორავა